ახალციხის მუნიციპალიტეტის
სატენდერო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი №6

ქ.ახალციხე 28 ივლისი 2011 წ
16:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

მალხაზი გიქოშვილი -	საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
გელა დემეტრაძე -	საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
გიორგი გიქოშვილი -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
გაგა ივანიძე -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
მაკა სამსონიძე -	საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
გიორგი მიქელაძე –	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში;
მანანა ბალიაშვილი -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი –სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში;
დავით ჩაჩანიძე -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში.

დღის წესრიგი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ "ქ. ახალციხეში ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილთან მდებარე ხელოვნური ტბის რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის ამფითეატრის, შადრევნის და კაფე- ბარის მოწყობის არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის" კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2011 წლის 21 ივლისს 20:07 საათზე გამოცხადებულ №129 კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ მ. გიქოშვილმა საკონკურსო კომისიას მოახსენა , რომ სხდომას მდივნობას გაუწევს საკონკურსო კომისიის წევრი მაკა სამსონიძე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. დემეტრაძემ საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. ახალციხეში ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილთან მდებარე ხელოვნური ტბის რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის ამფითეატრის, შადრევნის და კაფე-ბარის მოწყობის არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, 2011 წლის 21 ივლისს 20:07 საათზე გამოცხადებულ №129 კონკურსში ახალციხის მუნიციპალიტეტში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა-შპს ა არქიტექტურა-მ შემ დეგ თანხაზე: 14500 (თოთხმეტი ათას ხუთასი)ლარი.

განხილვა:

შპს ა არქიტექტურა-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს ა არქიტექტურა-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებასა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. ახალციხეში ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილთან მდებარე ხელოვნური ტბის რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის ამფითეატრის, შადრევნის და კაფე- ბარის მოწყობის არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, 2011 წლის 21 ივლისს 20:07 საათზე გამოცხადებულ №129 კონკურსში საკონკურსო კომისიის წევრთა შეფასებით გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს ა არქიტექტურა.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს მ. ბალიაშვილს, შპს ა არქიტექტურა-ს წერილობითი ინფორმირება და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მომზადება, გაფორმების შემდეგ ხელშეკრულების ატვირთვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

4. საკონკურსო კომისიის წევრს მანანა ბალიაშვილს დაევალოს წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ქსელში განთავსება.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	მ. გიქოშვილი
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	გ. დემეტრაძე
საკონკურსო კომისის მდივანი	მ. სამსონიძე
საკონკურსო კომისიის წევრები	გ. გიქოშვილი
	გ. ივანიძე
	გ.მიქელაძე
	მ. ბალიაშვილი
	დ. ჩაჩანიძე